ხელშეკრულება № 130

ქ. გურჯაანი „01" დეკემბერი 2013 წ

1. ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ ა.ა.იპ „გურჯაანის მუნიციპალური კ\ცენტრი" მისი *დირექტორის* ვალერი მღებრიშვილის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი"), მეორეს მხრივ შ.პ.ს.„კახეთის გული თ&გ"მისი დირექტორი ნ.გოდელაშვილი(შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი:

80 ლიტრი ნავთობის დისტილატების (ბენზინი, დიზელის საწვავი, ზეთი) მიწოდების უზრუნველყოფა, როგორც სატალონო (მიმწოდებლის მიერ წინასწარ დაბეჭდილი ტალონების გაცემა) ისე ტალონის გარეშე წესით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს ნავთობის დისტილატების შენახვა-გაცემა ბენზინ-გასამართ სადგურზე.

3.2 „შემსყიდველი" ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული საქონლის ღირებულება მიწოდებიდან (ან და ტალონის გაცემიდან) ერთი თვის ან მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 3- დღის განმავლობაში.

4. საქონლის ხარისხი და გარანტია:

4.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

5.1 „შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

:კონტროლი ხორციელდება:

-საქონლის მიწოდების ვადებისა დახარისხის სახელშეკრულებო მოთხოვნებთან შესაბამისობაში დადგენის მიზნით.

5.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებისმითითებით.

6. სახელშეკრულებო ფასი და ანგარიშსწორების ფორმა:

6.1. სახელშეკრულებო სავარაუდო თანხა შეადგენს 160 ლარს.

6.2.ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი და უნაღდო აანგარიშსწორების ფორმით (ლარებში) წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას წარმოქმნილ დავალიანებას დაარიცხოს დამატებით ასანაზღაურებლად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.7%.

7. ფასები

სახელშეკრულებო ფასის კორექტირება დასაშვებია მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე განხორციელებული საწვავის ფასის -------****-----ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისად.

8. შესყიდვის ობიექტისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

8.1 ხელშეკრულება ძალაშია 2013წლის01 დეკემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

8.2 ხელშეკრულება წყდება;

- მოქმედების ვადის გასვლისას;
- სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაუქმებულად ცნობის დროს.

9. ფორს-მაჟორი:

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლად ან დარღვევად;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელბიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველი და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდეულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

10.1 არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

11.1 თუ ხელშეკრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა:

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპეტენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებს სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას,

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა:

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპეტენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებს სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას,

ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

14.1 „შემსყიდველი“:

ა.(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი
მის: ქ. გურჯაანი თამარ მეფის ქ.№16 ტელ:593-315-213
ს/კ 227767841 ანგ.№GE81LB0115122362241000

დირექტორი: მ. მღებრიშვილი

14.2 „მიმწოდებელი“
შ.პ.ს. „კახეთის გული თ&გ” ქ. გურჯაანი, თავისუფლების ქ.№6 ს/კ227767805
ტელ: 2-31-87 ს.ს „ლიბერთი ბანკის” გურჯაანის ფილიალი ანგ.№36089999
„საქ. ბანკი-ანგ.№**GE53BG**0000000332065000

ვადასტურებთ:
შ.პ.ს.„კახეთის გული თ&გ”

---------- დირექტორი: ნინო გოდელაშვილი